პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 11

20 14 წ. "20" 06

ქ.თბილისი

შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვანი პროფესიული კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვან პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202066405) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 500-ით (მათ შორის: ქ. თბილისში - 300; ქ. თელავში - 200).
2. შპს საქართველოს ზაზა ფანასკერტელის სახელობის სამედიცინო, მრავალდარგოვან პროფესიულ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 20 ივნისის №3 სხდომის ოქმის მე-5 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
კახაბერ ერაძე

მდივანი
ლალი ღოღელიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1.	ექთნის თანაშემწე	მე-3 საფეხური	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2.	კბილის ტექნიკოსი	მე-3 საფეხური	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3.	მასაჟისტი	მე-3 საფეხური	მასაჟისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	მე-3 საფეხური	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	45
5.	გიდის/ადგილობრივი გიდი (ობიექტის, ქალაქის, რაიონის)	მე-3 საფეხური	გიდის/ადგილობრივი გიდის (ობიექტის, ქალაქის, რაიონის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6.	ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მე-3 საფეხური	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
7.	საბაჟოს წარმომადგენელი (სასაქონლო ოპერაციების სპეციალისტი)	მე-3 საფეხური	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8.	ფარმაცევტის თანაშემწე	მე-5 საფეხური	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120
9.	პრაქტიკოსი ექთანი	მე-5 საფეხური	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	150